

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და  
სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი  
რესურსების კომისიის გაერთიანებული სხდომის

ოქმი N 5

ქ. თელავი

19.03.2018 წელი

თავმჯდომარეობდა: დ. გოგოშვილი

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტ. დარეჯანიშვილი; ლ. მრელაშვილი; ა. შათირიშვილი;  
ნ. ხვისტანი; ა. მახარიაშვილი; ზ. ნაცარაშვილი; ზ. ლილუაშვილი; დ. დაღანიძე;  
გ. ჩაბრაშვილი; ზ. ყარასაშვილი; გ. წაწალაშვილი; ლ. ითიურიძე; ბ. ქოჩიშვილი;  
ა. კუპატაძე; ა. თვალაშვილი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გ. ორკოდაშვილი;  
საკრებულოს აპარატის უფროსი - ტ. გალახვარიძე; სამანდატო-საპროცედურო და  
იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი - მ. ჩაფურიშვილი; საფინანსო-  
საბიუჯეტო კომისიის მოწვეული სპეციალისტი - ლ. ფარსადანიშვილი; თელავის  
მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვის  
განყოფილების უფროსი - ნ. ჩურხაული; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის  
ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა  
დაცვის სამსახურის, ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი - ნ. ზაჩიაშვილი;  
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის,  
მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის  
განყოფილების უფროსი - ვ. გაგნიძე; ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს  
თავმჯდომარე - მ. მარკოზაშვილი; მოქალაქე - მ. მოსიაშვილი.

დღის წესრიგი

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის #01  
დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა.

მომხსენებელი: ნ. ჩურხაული  
მ. ბაღუაშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალიტეტის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის #6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის განხილვა.

მომხსენებელი: ვ. გაგნიძე

3. არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი თელავი“-ს გამგეობის წევრების მოთხოვნა - კონდოლში მინი სპორტულ მოედანზე ხელოვნური საფარის მოწყობის განხილვა.

მომხსენებელი: დ. გოგოშვილი

**მოსმინეს:** 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 10 იანვრის #01 დადგენილებაში ცვლილების შეტანის განხილვა.

**აზრი გამოთქვას:** ლ. მრელაშვილი, ტ. დარეჯანიშვილი, ნ. ხვისტიანი, დ. დაღანიძე, გ. წაწალაშვილი, ბ. ქოჩიშვილი, ა. თვალთაშვილი, დ. გოგოშვილი, ა. შათირიშვილი - გამოიძენოს თანხები და მოხდეს შუამთის წყლის გაწმენდა და მის ტერიტორიაზე საპერფარემოს მოწყობა. ასევე გაკეთდეს სიჩქარის შემზღვეველი ბარიერი.

ზ. ნაცრაშვილი - სოფელ რუისპირის მუნიციპალურ ერთეულში მოწესრიგდეს საპირფარეო, რადგან სავალალო მდგომარეობაშია.

ა. მახარიაშვილი - სოფელ ნაფარეულის საჯარო სკოლის მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, ამავე სკოლის ეზოში მდებარე ამორტიზებული შენობა-ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და სკოლის გალავნი შეიფუთოს ავარიული ბადით.

ტ. დარეჯანიშვილი - სოფელ გულგულის საჯარო სკოლის ეზოში მდებარე, ამორტიზებული ძველი სკოლის შენობის დემონტაჟი ან მისი იმგვარად შემოღობვა რომ საფრთხე არ შეექმნას სკოლის მოსწავლეთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

**გადაწყვიტეს:** მოწონებულ იქნას წარმოდგენილი პროექტი და წარედგინოს ბიუროს სხდომას.

თელავის მუნიციპალიტეტის მერიას გაეგზავნოს წერილი, რათა განხილოს ზემოაღნიშნული საკითხები.

**მოსმინეს:** 2. თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2018 წლის მუნიციპალიტეტის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 08 თებერვლის #6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის განხილვა.

**გადაწყვიტეს:** წარმოდგენილი პროექტები მოწონებულ იქნას და წარედგინოს ბიუროს სხდომას.




მოსმინეს: პ. არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი თელავი“-ს გამგეობის წევრების მოთხოვნა - სოფელ კონდოლის საჯარო სკოლის ეზოში მოეწყოს ხელოვნურსაფარიანი მცირე ზომის სპორტული მოედანი, რომლითაც სწავლის პერიოდში ისარგებლებენ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილების ჩატარებით სკოლის მოსწავლეები, ხოლო არა სასწავლო დროს კი სოფლის ახალგაზრდობა.

აზრი გამოთქვას: გ. წაწალაშვილი, ლ. მრელაშვილი - მოედანი საჯარო სკოლის საკუთრებაა, მუნიციპალიტეტს არ აქვს უფლება რაიმე სახით ჩარევის. შესაძლებელია აღნაგობის წესით გადაეცეს მუნიციპალიტეტს - სოფელ კონდოლის საჯარო სკოლის ეზოში ხელოვნურსაფარიანი მცირე ზომის სპორტული მოედანი აშენდეს, გაკეთდეს და შემდეგ გაფორმდეს მემორანდუმში - მუნიციპალიტეტსა და სკოლას შორის, სადაც ცალსახად იქნება გაწერილი მოხმარების წესები და უფლება-მოვალეობები.

გადაწყვეტეს: თელავის მუნიციპალიტეტის მერიას გაეგზავნოს წერილი განიხილოს აღნიშნული საკითხი და გაითვალისწინონ 2019 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას.

(წერილი თან ერთვის ოქმს ერთ ფურცლად)

საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის თავმჯდომარე



დ. გოგოშვილი